



UNIVERSITÄT
LEIPZIG



MOLDOVA
INSTITUT
LEIPZIG



Diversität
leben

UKRAINE | GEORGIEN | DEUTSCHLAND

Supported by



ონლაინ
საქტემბერი - ნოემბერი
2021



განაცხადის შეტანის ვადა
14 საქტემბერი, 2021



განაცხადი უნდა გამოგზავნოს
მისამართზე:

icstbilisi@gmail.com



გთხოვთ, განაცხადი გამოგზავნოთ
ერთიანი პდფ ფორმატით



პროექტის კოორდინატორი:
დოქტორი ვასილუ ღუმბარაშვილი

სემინარი

“მრავალფეროვნება რეალობაში. მუშაობა ეთნიკურ უმცირესობებთან
უკრაინაში, საქართველოსა და გერმანიაში”

ორგანიზატორები

ლაიპციგის მოლდოვას ინსტიტუტი (გერმანია), იური ფედკოვიჩის
სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ჩერნოვცი, უკრაინა) და ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კულტურის კვლევათა ინსტიტუტი (საქართველო).

სემინარი ორგანიზებულია ახალგაზრდებისათვის პროგრამის
„MEET UP! ახალგაზრდობა პარტნიორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც
დაფინანსებულია ფონდის „მეხსიერება, პასუხისმგებლობა და მომავალი“
(EVZ) მიერ.

მონაწილეები

სემინარის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები
საქართველოდან, უკრაინიდან და გერმანიიდან, პირველ რიგში -
სტუდენტები, აგრეთვე ახალგაზრდა მკვლევრები.

საკითხის დასმა და პრობლემატიკა

პროექტის მიზანია, შესაძლებლობა მისცეს ახალგაზრდებს უკრაინიდან,
გერმანიიდან და საქართველოდან, უკეთ გაერკვნენ მრავალფეროვნების,
განსხვავებათა და ინკლუზიის საკითხებში.

გერმანიაში სორბების, უკრაინაში რუმინელებისა და პოლონელების,
საქართველოში სომხებისა და აზერბაიჯანელების უმცირესობათა
მაგალითზე, ახალგაზრდები განსაზღვრავენ წინააღმდეგობათა
სფეროებს, მათი გადაწყვეტის გზებს, კომპაქტურად განსახლებული ამ
უმცირესობების თვითდამკვიდრების ეფექტიან სტრატეგიას და პრაქტიკას.

სამი გუნდი იმუშავებს ორ ონლაინ სემინარზე (2 დღე სექტემბერში, დღეში
6 საათი და 2 დღე ნოემბერში), ხოლო შუალედში მოაწყობენ შეხვედრებს
ეთნიკური ჯგუფების კომპაქტური განსახლების რეგიონებში. შერჩეული
მონაწილეები ინფორმირებული იქნებიან მუშაობის ამოცანებსა და
პროცესზე. სამივე გუნდი (უკრაინაში, საქართველოსა და გერმანიაში)
მიიღებს დავალებას და საკვლევ კითხვებს. უმნიშვნელოვანესი ელემენტი
გუნდებს შორის პირდაპირი და რეგულარული კონტაქტი მოსაზრებების
გაცვლისათვის.

თითოეული გუნდი ორგანიზებას გაუწევს შეხვედრებს ეთნიკური
უმცირესობების წარმომადგენლებთან. ისინი დაეუფლებიან ინტერვიუს
ხელოვნებას და კამერით მუშაობას. ფილმის იდეა განხილული იქნება
სექტემბრის დასაწყისში. გუნდებში მომუშავე მონაწილეები გადაიღებენ
სამ მოკლემეტრაჟიან ფილმს.

მუშაობის ფორმა

მოხსენებები, დისკუსიები, მცირე ჯგუფებში მუშაობა, ეთნიკურ
უმცირესობებთან შეხვედრა, დისკუსიები მეცნიერებთან, რომლებიც
უმცირესობათა საკითხებზე მუშაობენ.

დაფინანსება

პროექტი დაფინანსებულია EVZ მიერ, გერმანიის საგარეო საქმეთა
სამინისტროს სახსრებიდან. ამის საფუძველზე, ლაიპციგის მოლდოვას
ინსტიტუტი დაფარავს პროგრამასთან დაკავშირებულ (ცხოვრების, კვების
და რეგიონებში მგზავრობის) ხარჯებს.

განაცხადის მიღება

განაცხადი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

- ავტობიოგრაფია (CV) ტრადიციული ფორმით
- სამოტივაციო წერილი (1 გვერდი)
- ინფორმაცია ენების ფლობის შესახებ (თავისუფალი ფორმით ან
სერტიფიკატის ასლის დართვით) აუცილებელი არ არის, თუმცა
უპირატესობას ანიჭებს აპლიკანტს მონაწილეთა შერჩევის დროს.

ველით თქვენს განაცხადებს!